სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატება
გაზეთის № 699

დამატების № 123

კვირა, 16 სექტემბერი 1912 წ.



ოდა, ფერადებით ნახატი ციმაკურიძისა.

მოქალაქენი

(ვითომ სახუმარო)

I

— არა, ძმავ, ვის გაუგონია, ხუთი ოთახი 70 მ.? ვერა ხედავ, რა ამბავია? ხალხი ტფილისს მოაწყდა, ბინები აღარ არის... სახლებს ამოდენა ხარჯი აქვს... ეს ღოსუდარსტვენი ნალოგიო, ეს ღოროკკოი გადასახადიო, აკენოჩნი სბორიო, დვორნიკი, ღოროდოვოი, წყალი, ჯანდაბა და დოზანა... ეჰ, ლა კიდევ უპრავამ მანეთზე 25 კ. მოგვიმატა გადასახადი... ეხუმრები?

სარქისას საბუთები უტყუარი იყო და პავლეც გაჩუმებული იდგა და ფიქრობდა, როგორ გამოსულიყო ამ მდგომარეობიდან.

— მაშ კარგი, სთქვა პავლემ, ორი ოთახი მომეცით,— რამდენს გამომართმევთ?

— ორი ოთახი რას გეყოფა, ძმაოჯან? ღოსტინა არ გინდა? სტოლოვოი არ გინდა? სპალნა არ გინდა?.. განათლებული კაცი ხარ—კაბინეთი არ გინდა? ერთიც ისე რაღა, სლუჩის საქმეზე დაგჭირდება... სტუმარი მოგივა, შენს სპალნაში ხომ ვერ დააწვენ?

არ ეშვებოდა სარქისა.

— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ თქვენ ბინას ათ თუმნად აფასებთ, მე კი სულ 60 მ. თვეში ჯამაგირი მაქვს. ამით ცოლი უნდა გამოვკვებო, შვილები...

სარქისა ნაკბენივით შემოტრიალდა.

— ვაა, შვილებიცა გყავთ?

პავლეს წამოსცდა.

ერთი კვირაა დილიდან დაღამებამდე ბინას ეძებს, ცოლ-შვილი სასტუმროში ჰყავს, ბარგი რკინის გზის სადგურზეა, შესანახს იხდის... რომელ ბინასაც შეევაჭრა, სახლის პატრონების პირველი კითხვა იყო:

— „შვილები ხომ არა გყავთ?

— მყავს ოთხი, უპასუხებდა პავლე.

სახლის პატრონები ზედაც არ შეხედავდნენ და ცივად უპასუხებდნენ:

— არა, არა, შვილო... ბავშვებიან ოჯახს, სახლს ვერ მივაქირავებთ... მათი ყვირილი შეგვაწუხებს, იატაკს მოსვრიან... როგორ იქნება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლევანდელ

ნინო დავითაშვილი.

ვალ. გუნია.

ალექსანდრა კარგარეთელი.

.... და პავლე იმედ გადაწყვეტილი, გულგაწყალებული მიდიოდა სხვა ბინის საძებნელად... სიარულით ფეხები დაუსივდა, მუხლებში წყალი ჩაუდგა, მოწყდა, მოიქანცა... ამას იქით აღარ შეუძლიან... აქ უნდა გადაწყდეს მისი ცოლშვილის ბედი.

სასოწარკვეთილს სახე დაელმიჭა, ყელში ბოღმა მოაწვა და ვედრების კილოთი ძლივს სთქვა:

— მყავს მაგრამ, ღვთის მადლმა, ისეთი წყნარი და მშვიდი ბავშვებია, რომ ხმასაც ვერ გაიგებთ, ოთახიდან არ გამოდიან.

— მაინც რამდენია?

პავლემ გადასწყვიტა ეცრუვნა.

— სულ ორი... ერთი ქორფაა, ძუძუთა, მეორე-კი ფეხზე ძლივს დადის...

პავლეს კილომ სარქისა ცოტათი მოალბო.

— ჰოო, ეგ კიდევ არაფერი.— არა უშავს რა... შეიძლება... მაგრამ ორ ოთახში როგორ ღა მოთავსდებით... სამი მაინც აიღე. არ ეშვებოდა იგი.

— მაინც რამდენი მოგვართვათ? ჰკითხა პავლემ.

— ორი ოთახი—25 მან., სამი—35 მან.

პავლემ პირი დააღო.

— ორი ოთახი და ამოდენა ფული?

ძლივს გაბედა მან.

— ეჰ, დალოცვილო, ორი შვილიცა გყოლია და ბინა-კი მუქთად გინდა... მარტო ცოლ-ქმარნი რომ იყოთ, კიდევ—ჰო, მაგრამ, შვილები რამეთა ღირან თუ არა? წელიწადში ერთი თუმნისას საღებავს ააგლეჯენ იატაკსა... მაგრამ შენი ნებაა... უკანასკნელი ფასია... სარქისა წასასვლელად გაბრუნდა; კარის სახელურს ხელი მოჰკიდა და თითონ-კი გვერდზე მიდგა.

პავლე მიხვდა,—იმასაც წასვლაა ეპატიჟებოდნენ.

მეტი გზა არ იყო, ესეც ხელიდან მიდიოდა... ცოტა ყოყმანის

ვლ. შალიკაშვილი. რეჟისორი.

მსახიობი ზარდალიშვილი.

შემდეგ გადასწყვიტა... მისცა ერთი თვის ქირა და გახარებული გაექანა ცოლისკენ.

II

— აბა, ჩქარა, ფეფო! ბინა ვიშოვნე... მოემზადე, დღესვე გადავიდეთ...

კარები შეაღო თუ არა, შეჰყვირა პავლემ.

ფეფო დატრიალდა; ბავშვები ახმაურდნენ. ყველა წასასვლელად ემზადებოდა.

პატარა ნუნუმ ტიკინს დასტაცა ხელი და გულში ჩაიკრა, შალვამ თავის ცხენს კანაფი მოაბა და ზურგზე წამოიკიდა ჟორჟიკამ თოფი მხარზე გადაიკიდა და ბარაბანიც იღლიაში ამოიდო, საშამ-კი საწიგნე აიღო. დანარჩენი ბარგიც, გარდა წვრილმანისა, რომელსაც ფეფო ხელის ჩემოდანში ალაგებდა,—შეკრული და მზად იყო.

— ფეფო, ეს დიდი კალათა უნდა დავცალოთ. უთხრა პავლემ და კალათს დააჩერდა.

— რად უნდა დავცალოთ, კაცო? მერე ამოდენა ტანისამოსი სად უნდა წავიღოთ? ფეფო გაკვირვებული მისჩერებოდა ქმარს, რომელიც კალათს თვალს არ აშორებდა და რაღაც ღრმა ფიქრში იყო წასული.

— ბევრს ნუ ლაპარაკობ... ერთბაშად წამოიძახა პავლემ. ეს ტანისამოსი ბოხჩაში გაახვიე და წაიღე, ამ კალათს მე მოვიტან.

— მერე რა უნდა ჩასდო შიგა, ცარიელს ხომ არ წამოიღებ? ფეფო გაკვირვებული ოთახს ათვალიერებდა,—ხომ არაფერი დაგვრჩა ჩაულაგებელიო. კალათიდან ბარგს ეზიდებოდა და ბოხჩაში ჰყრიდა.

III

ბარგი ეტლში ჩაალაგეს.

— ფეფო, შენ ჩაჯექ ეტლში და წადი; ნუნუ და საშა თან წაიყვანე... მაგრამ გახსოვდეს — თუ სახლის პატრონმა გკითხოს საშას შესახებ,—უთხარი შენი შვილი არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ



სუფლიორი ბეგლარიძე.



ვასო აბაშიძე.

ტასო აბაშიძე.

არის... ვითომ ნათესავია, გამოგაცილა და ისევ შინ დაბრუნდება...გაიგე?

ფეფო მიხვდა რაშიაც იყო საქმე.

— ეს სანამ დავბინავდებოდეთ, ქალო.—მერე სხვა საქმეა...

პავლემ მისცა ადრესი, მეეტლის ფული და კარებში გამოაცილა.

— ესენი? ჰკითხა ცოლმა შალვასა და ჟორჟიკაზე.

— ამათ მე თითონ მოვიტან... ფუ! მოვიყვან... გაასწორა პავლემ.

IV

— აბა, შალიკო, ჟორჟიკ! ჩქარა, ჩაწექით ამ კალათში... პავლემ ბავშვებს ხელი მოხვია და კალათისაკენ მიერეკა.

ბავშვები პირდაღებულნი მისჩერებოდნენ მამას.

— ჩქარა, პირი ნუ დაგიღიათ! გაუჯავრდა პავლე.

— კალათში ლათა, მამა? ეტლში ალ ჩავჯდებით? ნუნუ და საშა ლომ ეტლით წავიდნენ?

შალვას ცრემლებით აევსო თვალები.

— ჰო, შვილო, ეტლით წაგიყვან, მაგრამ კალათში კი უნდა ჩასხდეთ, ეგრეა საჭირო. დაუყვავა პავლემ.

— უჰ, რა კარგია, აღტაცებით შესძახა ჟორჟიკამ, კალათში და მერე ეტლით! მშვენიერია, მამა! და ამ სიტყვებით კალათში ისკუპა.

ჟორჟიკას ქცევამ შალიკოც გაამხნევა და, თუმცა უგულოდ, მაგრამ ისიც ზოზინით ჩაძვრა კალათში და .ძმას გვერდით მიუწვა.

— იცოდეთ, ხმა არ ამოიღოთ, საანამ მე არ გითხრათ, თორემ ცოცხლები ვერ გადამირჩებით.—დაემუქრა მამა.

ბავშვებმა სული გატრუნეს და ერთმანეთს მიეკრვნენ.

ვლ. ალექსი-მესხიშვილი. რეჟისორი.

მსახიობი ქ-ნი ჯავახიშვილი.

პავლემ ფრთხილად დახურა კალათი, დაუტოვა ჰაერის შესასვლელი, შეჰკრა თოკით და ფრთხილადვე ჩაადებინა ეტლში, თითონ კოფოზე დაუჯდა და—გასწიეს.

V

მივიდა თუ არა ახალი ბინის კარებთან, პავლეს, ფეფოს ხმა შემოესმა. ვილაცას, რალაცას ეფიცებოდა.

პავლემ ყური აცქვიტა.

— ვაა, ასეთი მოტყუებაც იქნება?

ძლივ ფეხზე დადისო და ამოდენა ვირი კი გყოლიათ... ეგ რა მიქარვაა... ჯავრობდა სარქისა.

პავლე გადმოხტა ეტლიდან და სახლისკენ გაეშურა. ოთახში თვალ-ცრემლიანი ფეფო დაუხვდა. საშა გაბუტული კუთხეში მიმდგარიყო.

— კაცო, გაგონილა ამისთანა ცეცხლი? შესტირა ფეფომ,—ვეფიცები ჩემი არ არის მეთქი და რომ არა სჯერა...

პავლე გაშეშდა; ბოლოს გრაზმორეულმა ოთახში სიარული დაიწყო.

მეეზოვემ დაინახა თუ არა ახალ მდგმურს ეტლში კალათა დარჩა, იფიქრა: ვასიამოვნებ, სამსახურს გაუწევ, იქნებ ორიოდე გროში მაჩუქოსო,—კალათი ზურგზე წამოიკიდა და ოთახში შეათრია. ყველანი თავიანთი დარდით ისე იყვნენ გართულნი, რომ ვერც-კი შეამჩნიეს მეეზოვის შემოსვლა.

ერთბაშად ბრაგვანი მოიღო იატაკზე.

— ვაი, ვაი...

გაისმა ბავშვების გულშემზარავი კვნესა. ფეფომ დაიკივლა.

შეშინებული ნუნუ დედას მიეკრა. საშამ ღრიალი მორთო.

პავლე მიხვდა უბედურებას, მივარდა მეეზოვეს, შეატრიალა, ჰკრა პანღური და კარებში გააგდო.

— დედა, მიშველე...

— დედა, მომკლა!.. მოისმოდა კალათიდან.

პავლე და ფეფო მიცვივდნენ კალათს, გასჭრეს თოკი და სახურავი ააღეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალიკო და ჟორჟიკა წაჩხუბებულიყვნენ, ჩაფრენოდნენ ერთმანეთს ერთი ყურში, მეორე ცხვირზე და რამდენადაც კალათის სივიწროვე ნებას აძლევდა ერთმანეთს სცემდნენ.

რის ვაი ვაგლახით გააშველეს და ტკბილეულით დაამშვიდეს.

დაღამდა. ფეფო და პავლე ოთახს ალაგებდნენ... ბავშვებს ეძინათ, მხოლოდ ცელქი ჟორჟიკა ფხიზლობდა და ოთახში რაღაცას ჩხირკედელაობდა. რამდენჯერ გაუჯავრდა დედა, დაეძინა, მაგრამ ჟორჟიკა არ ემორჩილებოდა. ეხლა მაინც შიში არაფრისა იყო...

ამ ღამე ხომ სახლის პატრონი აღარ შემოვიდოდა საზვერავად...

თუ ბარგის დალაგება მოასწრეს, მერე სახლიდან ვეღარ გააგდებენ.

— შეიძლება? ერთბაშად მოესმათ სარქისის ხმა და კარი გაიღო.

ცოლ-ქმარნი აირივნენ, ხმა ვეღარ ამოიღეს... ისევ ფეფომ მოისაზრა: დასტაცა ხელი ჟორჟიკას, კუთხეში სავარძლის ქვეშ შეაგდო, თანაც დაემუქრა:

— ხმა თუ ამოგიღია სულს გაგაფრთხობინებ!..

თითონ სავარძელში ჩაჯდა, კაბა გადააფარა და თავაზიანის კილოთი სთქვა:

— მობძანდით, ბატონო, მობძანდით!

პავლემ მოიხედა—ჟორჟიკა არა სჩანდა. წელში გასწორდა და სტუმარს მიეგება.

— ბოდიშის მოსახდელად მოვედი..

დაიწყო სარქისამ,—წეღან გავცხარდი..

— რა ბრძანებაა... უხერხულად ჩაიცინა პავლემ; დაბრძანდით.

სარქისა დაჯდა.

პავლეც ცოლს მიუჯდა, რომ ჟორჟიკას ჩამოფარებოდა.

— ახარ, არ იქნება და! განაგრძო სარქისამ. ყველა ჩვენ გვატყუილებს;

სახლის პატრონისთანა უმწეო ქვეყანაზე პირუტყვიც-კი არ გაუჩენია ღმერთს. მოვა სახლის დამქირავებელი, ისე დაგიყვავებს, რო გეგონება პირიდან თაფლი სდისო... ჰკითხავ, რამდენი შვილი გყავს? გეტყვის თუ—ორი.. გაიხედავ და დროგით მოგაყენებს ოთხსა:

პავლე უხერხულად შეიშმუშნა.

— ჰო, დიახ,... მოხდება ხოლმე...

ჰო და ეხლა დალოცვილო, ორის ქირას იძლევი და ოთხი-კი მოგყავს. არ იქნება და! იმთავით რო მეტყვი, თუ რამდენია, მაშინ ჩემი საქმისა მე ვიცი: უსლოვიაში ჩავწერ, ქირასაც შესაფერს ავიღებ...

სავარძლის ქვეშ გაფხაკურდა.

ჰო, დიახ, დიახ... წამოიძახა ფეფომ და ჟორჟიკას ფეხი წაჰკრა.

— ჰმ!.. კბილების ხრჭენით დაიღმუილა პავლემ და სავარძლის ქვეშ ხელი გაიქნია.

— მაშ რა ვქნათ, ბატონო სარქის, შვილებს ხომ არ გადავყრით?

— ვაა, დალოცვილო, რა ჰქნა რომელია? ახლა მდგმურს რომ ბევრი შვილები ჰყავდეს ჩემი რა გადასახდია?! მეც ნალოგებს ვიხდი თუ არა! ამ უპრავამ ხომ სული ამოგვართვა, რაღა! ყოველ დღე ახალ-ახალ ნალოგს გვიმატებს.. უფლის მადლმა, შენი სახე მომეწონა, თორემ ორი შვილის პატრონს სახლს არ მივაქირავებდი... იმათი თავი ვისა აქვს?! შენ კიდე მატყუილებ: ამბობ—თუ ძლივ ფეხზე დადისო და ღიმნაზისტი შვილი კი გყოლია!.. მეორე—სამი წლის ქალი... ეს ყველაფერი ანგარიშში ჩასაგდებია განა...

— დიახ, დიახ... მართალი ბრძანებაა..

მაშინალურად იმეორებდა პავლე.

— ამ წინაზე ერთი კაცი მოვიდა... ვეკითხები—შვილები რამდენი გყავს მეთქი..

ოთახში რაღაც წვრილი ხმა გაისმა. ფეფო შეიშმუშნა.

პავლემ დაიღმუილა და სავარძელს ხელი წაჰკრა.

სარქისამ ყურები აცქვიტა.

— ეჰ, ცუდი დრო დაგვიდგა, მდგმუროჯან, ცუდი... ხორცი გაძვირდა, ქათამსა და კვერცხს ღრანიცაში ეზიდებიან... ჩვენ-კი სულ ლობიო უნდა ვჭამოთ... სადილად-ლობიო, ვახშმად—ლობიო... გული გაწყალდა რაღა! მაგრამ ღვთის წინაშე, ლობიო კარგი რამ არის, თუ უხარშავს არა სჭამ... კარგად უნდა მოხარშო, შაკმაზო, მოღესო... კირკაჟი ხომ პირში არ ჩაიშვება... მუცლის გვრემა იცის...

— ჰო, დიახ, მართალია... უხერხულად წამოიძახა ფეფომ.

— ჰეე, როგორ მამატყუილეთ!.. ღიმილით განაგრძო სარქისამ... მაგოდენა ვაჟი გყოლიათ... რომელ კლასშია?

— მეორეში გახლავთ! უპასუხა პავლემ.

— ეგ ორი გყავთ, არა? არ ეშვებოდა სარქისა.

— დიახ, ბატონო? ჩაურთო ფეფომ.

— რა ვქნათ მეტი არ მოგვცა ღმერთმა... დაუმატა პავლემ.

— ეჰ, დალოცვილო, მეტი რად გინდა?!

ბევრი შვილებისაგან რა ხეირია? აი, მე, შვიდი შვილის მამა ვარ, და შვიდი კაპეიკი არ ვიცი იმათგან... ყველანი...

— ვაიმე დედა, მოვკვდი!... გაისმა ჟორჟიკას გულსაკლავი კვნესა.

სარქისამ თვალები დააჭყიტა; ფეფო გიჟივით წამოიჭრა, გადააგდო სავარძელი და გაფითრებული ბავშვი ფეხზე წამოაყენა. ჟორჟიკა ისე მოკუნტულიყო, რომ წელში ვეღარ იმართებოდა.

— ეგ ვიღასია? შეჰყვირა პირდაღებულმა სარქისამ.

პავლე გამხეცდა.

— ეგეც ჩემია! შეჰყვირა მან, სტაცა ხელი სარქისას და მეორე ოთახში გაათრია.

— აჰა, მოდი აქ, ნახე, მეოთხეცა მყავს... მეხუთეზე კიდევ ორსულად არის ჩემი ცოლი... შენი გამოჯავრებული მეექვსეც მეყოლება, მეშვიდე, მერვე... თქვე იუდის კერძნო!.. რაო, დავხოცო შვილები თუ რა ვქნა?

მამის ყვირილზე ბავშვებმა გაიღვიძეს და ღრიალი მორთეს. ფეფო ჟორჟიკას მისწვდა და ცემა დაუწყო.

ატყდა ერთი ჯოჯოხეთი.

სარქისამ ყურებში თითი დაიცო და გარედ გავარდა... ენა გადმოგდებული, ქოშინით ავარდა კიბეზე და გადასძახა პავლეს:

— წაიღე შენი ფული და ხვალვე სახლი დამიცალე... ამოდენა შვილების პატრონს მე სახლს ვერ მივცემ...

გააფთრებული პავლე კარებს მივარდა.

— ვერ მოგართვი! შენს ჯიბრზე ამ სახლში ვიქნები, სანამ თორმეტამდე არ შევასრულებ.

შესძახა მან და კარები მიიხურა.

ვლ. შალიკაშვილი.

ტფილისი, სტამბა „შრომა" მუხრანის ქუჩა 12.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.